ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 31 3966

24/12/2018 3966-31-4-201812242137

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისათვის პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე'' პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, ,,დ''პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების, ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის N36 36 განკარგულებისა და ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის №35 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ებ :

1. გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, დანართი №1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით, პრივატიზების შესახებ ინფორმაცია, დანართი №2-ის შესაბამისად.
3. ინფორმაცია განთავსდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.eauction.ge .
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/.
5. ბრძანება ძალშია გამოქვეყნებისთანავე.

გრიგოლ იოსელიანი



მუნიციპალიტეტის მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია